

**ხელშეკრულება № 1603/1**  
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

**ქ. გორი**

**16 მარტი 2021 წელი**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სპეციალური სერვისების მიწოდების სააგენტო (შემდგომში – „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის - თამარ აფციაურის სახით და მეორეს მხრივ შპს „2+1“, წარმოდგენილი მისი დირექტორის კონსტანტინე ბერიძის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანი: ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის გამოყოფილი სახსრებით „გორის მუნიციპალიტეტის სპეციალური სერვისების მიწოდების სააგენტოსათვის საკანცელარიო ნივთების შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვა.

**2. შესყიდვის ობიექტი**

2.1 შესყიდვის ობიექტია შესყიდვის ობიექტია:

<i>N</i>	<i>CPV კოდი</i>	<i>დასახელება</i>	<i>რაოდენობა</i>	<i>ერთ.ფასი</i>	<i>სულ</i>
1	22852100	ფაილი ა4 35 მკ 100 ც	2 ც	4,5	9
2	22815000	რვეული ა4 96 ფ	15 ც	2,5	37,5
3	22816100	ბლოკნოტი 2020 წლის კალენდრით	1 ც	7	7
4	30192123	კალამი პიანო 338	4 ც	0,5	2
5	30192123	კალამი გალქსი	5 ც	0,6	3
6	22851000	ბაინდერი ა4 განიერი	3 ც	3,5	10,5
7	30197210	სწრაფჩამკერი კლიფვალით დამკერით	4 ც	2,8	11,2
8	30197210	სწრაფჩამკერი თხელი ყდით ფერადი	4 ც	0,7	2,8
9	30192160	კორექტორი ფუნჯი	5 ც	0,9	4,5
10	30192700	სახაზავი მეტალი სქელი 30 სმ deli	1 ც	3	3
11	30141000	კალკულატორი 1217 deli	1 ც	8,5	8,5
12	30196200	წებოვანი ჩასანიშნი 500 ფ	1 ც	2,5	2,5
13	30192700	სკოჩი დიდი	1 ც	1	1
14	30192700	სკოჩი პატარა	1 ც	0,2	0,2
15	30192130	შავი ფანქარი	3 ც	0,15	0,45
16	30192700	სენიკი ფერადი პატარა	1 ც	0,6	0,6
17	30197320	სტეპლერი 24 6	1 ც	3	3
18	30124400	სტეპლერის ტყვია 24 6	3 ც	0,6	1,8
19	30192700	კლიფსი 41 მმ	6 ც	0,25	1,5
20	30192700	ფერადი სკრები	1 ც	1	1
21	30192700	წებო 36 გრ	3 ც	1	3
22	30197320	სტეპლერი 0327	2 ც	5	10
23	30141000	კალკულატორი 837	1 ც	11	11
24	30192123	კალამი	10 ც	0,5	5
25	30197210	60 ფ საქალაღდე	4 ც	3,8	15,2
26	30192700	მაკრატელი 6034	1 ც	2,5	2,5
27	30125100	კატრიჯი 285 ა	1 ც	27	27
28	30196200	ჩასანიშნი ქაღალდი 100 ც	1 ც	1,2	1,2
29	30192700	საკანცელარიო დანა სათადარიგო პირებით 2047	1 ც	4	4
30				სულ:	189,95

**3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება**

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება არის – 189,95 (ასოთხმოდცაცხრა ლარი და 95 თეთრი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

**4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 დღის ვადაში.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში მოამარაგოს შესყიდვის ობიექტ(ებ)ით.

5.3. მისაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა განისაზღვრება შემსყიდველისგან ელექტრონული ფორმით წინასწარ მოცემული შეკვეთის საფუძველზე. შემსყიდველის მიერ ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი თარიღი ითვლება შეკვეთის მიცემის თარიღად.

5.4. მიწოდების ადგილია: **გორი ჭავჭავაძის 47**

5.5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

#### **6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიწოდების განხორციელების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება - ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირია ხელშეკრულების 14.2 პუნქტში მითითებული პირი.

#### **7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვალები) და ადგილი**

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველთან საქონლის მოწოდების შემდგომ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

#### **8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს: - შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია: - მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; - უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს: - მოთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია: - დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

#### **9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას**

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშუალოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

#### **10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

#### **11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### **12. ფორს-მაჟორი**

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

#### **13. დაგები და მათი გადაწყვეტის წესი**

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დაგები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. შემსყიდველის მხრიდან მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ორგანიზაციის დირექტორი: თამარ აფციაური.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### 15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

#### 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

---

#### შემსყიდველი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპეციალური  
მომსახურების სააგენტო

ს.კ.: 417879399

მის.: ქ.გორი, სტალინის გამზ.#16

ბანკი: ეროვნული ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

ელ.ფოსტა: saagento18@gmail.com

დირექტორი: თამარ აფციაური

---

#### მიმწოდებელი

შ.პ.ს. „2+1“

ს.კ.: 418465529

მის.: ქ.გორი, სტალინის #10

ბანკი: სს „თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი: TBCBGE22

ა.ა.: GE10TB7923036020100004

კონსტანტინე ბერიძე

---

ჩვენ ხელის მომწერნი ერთის მხრივ „გორის მუნიციპალიტეტის სპეციალური სერვისების მიწოდების სააგენტო“ (შემდგომში – „მიმღები“) წარმოდგენილი მისი დირექტორის - თამარ აფციაურის სახით, და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „2+1“, ვადგენთ ამ მიღება- ჩაბარების აქტს შემდეგზე, რომ მიმღებმა მიიღო, ხოლო ჩამბარებელმა ჩააბარა:

N	CPV კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთ.ფასი	სულ
1	22852100	ფაილი ა4 35 მკ 100 ც	2 ც	4,5	9
2	22815000	რვეული ა4 96 ფ	15 ც	2,5	37,5
3	22816100	ბლოკნოტი 2020 წლის კალენდრით	1 ც	7	7
4	30192123	კალამი პიანო 338	4 ც	0,5	2
5	30192123	კალამი გალქსი	5 ც	0,6	3
6	22851000	ბაინდერი ა4 განიერი	3 ც	3,5	10,5
7	30197210	სწრაფჩამკერი კლიფფაილით დამჭერი	4 ც	2,8	11,2
8	30197210	სწრაფჩამკერი თხელი ყდით ფერადი	4 ც	0,7	2,8
9	30192160	კორექტორი ფუნჯი	5 ც	0,9	4,5
10	30192700	სახაზავი მეტალი სქელი 30 სმ deli	1 ც	3	3
11	30141000	კალკულატორი 1217 deli	1 ც	8,5	8,5
12	30196200	წებოვანი ჩასანიშნი 500 ფ	1 ც	2,5	2,5
13	30192700	სკოჩი დიდი	1 ც	1	1
14	30192700	სკოჩი პატარა	1 ც	0,2	0,2
15	30192130	შავი ფანქარი	3 ც	0,15	0,45
16	30192700	სენივი ფერადი პატარა	1 ც	0,6	0,6
17	30197320	სტეპლერი 24 6	1 ც	3	3
18	30124400	სტეპლერის ტყვია 24 6	3 ც	0,6	1,8
19	30192700	კლიფსი 41 მმ	6 ც	0,25	1,5
20	30192700	ფერადი სკრეპი	1 ც	1	1
21	30192700	წებო 36 გრ	3 ც	1	3
22	30197320	სტეპლერი 0327	2 ც	5	10
23	30141000	კალკულატორი 837	1 ც	11	11
24	30192123	კალამი	10 ც	0,5	5
25	30197210	60 ფ საქალაღე	4 ც	3,8	15,2
26	30192700	მაკრატელი 6034	1 ც	2,5	2,5
27	30125100	კატრიჯი 285 ა	1 ც	27	27
28	30196200	ჩასანიშნი ქალაღი 100 ც	1 ც	1,2	1,2
29	30192700	საკანცელარიო დანა სათადარიგო პირებით 2047	1 ც	4	4
30				სულ:	189,95

შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 189,95 (ასოთხმოცდაცხრა ლარი და 95 თეთრი) ლარი, საშემოსავლოსა და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზიები არ გააჩნიათ.

„მიმღები“

„შემსრულებელი“

მიიღო :

ჩააბარა :

თამარ აფციაური

კონსტანტინე ბერიძე

ა(ა)იპ - გორის მუნიციპალიტეტის სპეციალური სერვისების მიწოდების სააგენტო

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 16 მარტი 2020 წ.

მიმწოდებელი: შ.პ.ს. „2+1“ (418465529)

ხელშეკრულება: N-1603/1

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების“ მე-5 მუხლის „ინტერესთან კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“ შესაბამისად ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ - გორის მუნიციპალიტეტის სპეციალური სერვისების მიწოდების სააგენტოს“ სამსახურის თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

დირექტორი

თ.აფციაური

ბუღალტერი

ლ.მარტინოვი